ფონდი „სოზუმი“ FUND "SUKHUMI"

ხ ო ბ ი

ქალებისა და ახალგაზრდების ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით

2023 წელი, ივლისი

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგია 6

ბლოკი 1. კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 7

კვლევის ძირითადი მიგნებები 9

ბლოკი 2. ეკონომიკური უსაფრთხოება 9

ბლოკი 3. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 19

ბლოკი 4. ჯანმრთელობის უსაფრთხოება 24

ბლოკი 5. ფიზიკური უსაფრთხოება 27

ბლოკი 6. ეკოლოგიური უსაფრთხოება 35

ბლოკი 7. ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი და მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობა 36

დასკვნა და რეკომენდაციები 40

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიშს, რომელშიც ასახულია ქალების და ახალგაზრდების დამოკიდებულება უსაფრთხოების ხარისხისადმი.

კვლევა ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით.

საზოგადოებაში ადამიანური უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა გამოვლენას და საჭიროებების შესწავლას.

კვლევა ეყრდნობა კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებულ სისტემას (GREWS)[1], რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას.

აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.[2]

---

1 Gender Responsive Early Warning System (GREWS) - გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემა

2 დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში. გვ.3, 2021 წ. https://fsokhumi.ge/images/2021/10/1/USAID-ge.pdf

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

აქედან გამომდინარე, ***კვლევის მიზანია*** ხობის მუნიციპალიტეტში ქალთა საჭიროებების შესწავლა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადამიანის უსაფრთხოების ხარისხის შეფასება გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით, რისთვისაც განხორციელდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებების, მიდგომების შეფასება მათი ადამიანური უსაფრთხოების საკითხების მიმართ სხვადასხვა სფეროში: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ფიზიკური და სოციალური, ეკონომიკური უსაფრთხოების, უსაფრთხო გარემოს და სხვა საკითხებში და ამ კუთხით გენდერული საჭიროებების შეფასება.

მოხდა ადამიანური უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირება და პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთა, პრობლემებზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების შემუშავებისა და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირებისთვის ადგილობრივ დონეზე.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და მათზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება როგორც ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელთა, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თემებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების მიერ განსახორციელებულ ადვოკატირების კამპანიებს.

მოსახლეობის საჭიროებების შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა შემდგომში მის საფუძველზე შეიქმნას მუნიციპალური პროგრამები და გამოიყოს საბიუჯეტო თანხები ამ საჭიროებების მოგვარებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ჩატარების პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 ივნისი 28 ივლისს. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგების კონსოლიდაციით მიღებული მასალის ანალიზს.

რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავდა კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან და მოიცავდა ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანკეტირება განხორციელდა ონლაინ ფორმატით. კითხვარის შევსებისას რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ კითხვარში მითითებული პასუხებიდან რამდენიმე ვარიანტი. ანკეტირების გზით გამოიკითხა ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 ქალი.

თვისებრივი კვლევისთვის ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (5 ქალი), ასევე 4 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, რომელშიც ჩართული იყო 28 ადამიანი (24 ქალი და 4 კაცი).

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 178 ადამიანმა, მათ შორის - 174 ქალი და 4 კაცი.

ბლოკი 1. კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

რაოდენობრივი კვლევის საშუალებით მოვიცავით როგორც ქალაქი, ასევე სოფლებიც. ჩართული 150 მონაწილიდან 44% ქალაქის, ხოლო 56% სოფლის მცხოვრებია.

დიაგრამა №1.



რაც შეეხება კვლევის მონაწილეთა მაჩვენებელს ***ასაკის მიხედვით,*** შემდეგი სურათი მივიღეთ: რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას წარმოადგენენ ქალები 31-დან 45 წლამდე - 42%, შემდეგ მოდიან 46-დან 65 წლამდე ქალები - 34,70%. 18-30 წლის ახალგაზრდები რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 18%-ს შეადგენენ, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეადგინა კვლევაში ჩართულმა 65+ ასაკის ქალებმა - 5,3%.

სოციალური სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა 16% არის დევნილი, 84% - ადგილობრივი.

დიაგრამა №2.



კვლევის მონაწილეთა შორის 24% არის სოციალურად დაუცველი, 15% - მრავალშვილიანი დედა, 12% - მარტოხელა დედა და 3% - შშმ პირი.

დასაქმების სტატუსის მიხედვით, გამოკითხულთა 36% უმუშევარია, 29% არის დასაქმებული საჯარო სამსახურში, 15% სასოფლო-სამეურნეო საქმითაა დაკავებული, 10% სტუდენტია, კერძო ბიზნესში დასაქმებულია 6%, ხოლო კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში - 4%. უმუშევართა უმეტესობა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედაა.

დიაგრამა №3.

საქმიანობის ტიპი



კვლევის ძირითადი მიგნებები

ბლოკი 2. ეკონომიკური უსაფრთხოება

ეკონომიკური უსაფრთხოება სტაბილურობის და მდგრადი მშვიდობის განმსაზღვრელი და შემადგენელი ნაწილია, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების და ცალკეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. წინამდებარე საჭიროებათა კვლევაში ხობის მუნიციპალიტეტის სამიზნე ჯგუფების ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხი შეფასდა მოსახლეობის შემოსავლის წყაროს სხვადასხვა სახეობის, დასაქმებისადმი და ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობის და მათ შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის საფუძველზე.[3]

3 დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში. გვ.5, 2021 წ. https://fsokhumi.ge/images/2021/10/1/USAID-ge.pdf

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ ქალთა უმრავლესობისთვის ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი - 31%, დიდი წილი სახელმწიფო ანაზღაურებაზე მყოფ ბენეფიციარებზე გადანაწილდა - 29%. სახელმწიფო დახმარება, როგორც ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო, გამოკითხულ ჯგუფებზე შემდეგნაირად დაფიქსირდა: სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა - 24%, დევნილის შემწეობა - 16%. მიგრანტებზე არის დამოკიდებული გამოკითხული ოჯახების 16,70%. შემოსავლის ძირითად წყაროდ 13,30%-სთვის პენსია დასახელდა. მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავლით ოჯახებს არჩენს მხოლოდ 7,30%.

დიაგრამა №4.

შემოსავლის ძირითადი წყარო



მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების შემოსავლის წყაროს, ძირითადად, წარმოადგენს საოჯახო მეურნეობიდან მიღებული თანხა, სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა, ფულადი გზავნილები. უფრო კონკრეტულად:

მრავალშვილიანი დედების 30%-ის შემოსავლის წყარო არის სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა, გზავნილებით საზღვარგარეთიდან და საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლით სარგებლობს მრავალშვილიანი დედების ერთნაირი რაოდენობა - 40%. რაც შეეხება მარტოხელა დედებს, მათი 30%-სთვის შემოსავლის წყაროა საოჯახო მეურნეობიდან მიღებული თანხები და სოციალურად დაუცველთა შემწეობით სარგებლობს 35%.

ეკონომიკური უსაფრთხოების ბლოკში ასევე მნიშვნელოვანი იყო ქალების ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრა. ამ კუთხით ყველაზე მეტად დასახელდა ადგილობრივი პროგრამების სიმცირე/არაეფექტიანობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის - 65%. რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ეკონომიკური გაძლიერების ხელის შემშლელი ფაქტორი ქალებისთვის არის მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა, რაზეც მიუთითებს გამოკითხულთა 59,30%. კონკრეტულად მოიაზრება ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, რაც დიდი მხარდაჭერა იქნება მათთვის, რომ შეძლონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს აღმოჩნდა ქალებისთვის, რომლებიც დასაქმებული არიან საჯარო სამსახურში, ასევე მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისთვის.

დასაქმების ნაკლები პერსპექტივები დააფიქსირა გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა - 56%-მა. გამოკითხული ქალების 36%-სთვის კი შემაფერხებელი ფაქტორია ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტიანობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის.

ცხრილი №1.

რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის?	
დასაქმების ნაკლები პერსპექტივები	56%
ადგილობრივი პროგრამების სიმცირე/არაეფექტიანობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის	65%
ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტიანობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის	36%
მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა დასაქმებული ქალებისთვის, რათა ქალებს საშუალება მიეცეთ, აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში	59,3%
სხვა	0%

კითხვაზე, თუ რომელ ***სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებზე ფლობენ ინფორმაციას*** გამოკითხული ბენეფიციარები, მივიღეთ შემდეგი სურათი: გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს ინფორმაცია პროგრამებზე „აწარმოე საქართველოში“ (62,70%) და „დანერგე მომავალი“ (32%). კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ ინფორმაციას ფლობენ ისინი, ვინც დასაქმებულია საჯარო სამსახურში, დაკავებულია კერძო ბიზნესით ან დასაქმებულია კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში.

ამ კატეგორიას აქვს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამაზეც - 28,70%.

რაც შეეხება საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებს, ამაზე ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 18%-ს, ხოლო დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ იცის 16,70%-მა. სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებზე ინფორმაცია არ გააჩნია გამოკითხულთა 21,30%-ს.

დიაგრამა №5.

რა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებზე ფლობთ ინფორმაციას?



რაოდენობრივი გამოკითხვის მეშვეობით გამოვლინდა ისიც, რომ ***საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნელად*** ქალებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საგრანტო პროგრამების და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების არსებობა, რამაც თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო - 52%. ასევე გამოიკვეთა მოსახლეობის მეტი ინფორმირების საჭიროება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე (43,30%).

ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშემშლელი აღმოჩნდა ხელმისაწვდომი კრედიტების არარსებობა, რაზეც მიუთითებს გამოკითხულთა 41.30%. ქალების აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამები (39,30%). კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ეკონომიკური გაძლიერების კუთხით დიდი როლი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას. კონკრეტულად კი მიზანშეწონილია, რომ არსებობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა

ტიპის საქმიანობების მხარდასაჭერად, რის შესახებაც აღნიშნავს გამოკითხული ქალების 38,30%. 28,70%-ის აზრით, კარგი იქნება, თვითმმართველობამ დანერგოს საკონსულტაციო სერვისები და დახმარება ბიზნეს პროექტების წერაში.

ცხრილი №2.

რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის?	
ხელმისაწვდომი კრედიტები	41.3%
საგრანტო პროგრამები	52%
მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები	52%
სოფლის მხარდაჭერის პროგრამები	39,3%
ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობების მხარდასაჭერად	38,3%
მოსახლეობის მეტი ინფორმირება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე	43,3%
საკონსულტაციო სერვისები და დახმარება ბიზნეს პროექტების წერაში თვითმმართველობის მხრიდან	28,7%

თვისებრივი კვლევის დროს გამოვლინდა ქალთა ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები:

„აუცილებელია ქალების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა. სოფელში არიან ქალები, რომლებსაც აქვთ სურვილი, დაეუფლონ პროფესიას, ან აიმაღლონ არსებული ცოდნა. ამ კუთხით მათი დახმარება მნიშვნელოვანია“ (ქალი, ბაღის თანამშრომელი, 51 წლის).

„სურვილი მაქვს, რაიმე მცირე ბიზნესს მივყო ხელი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ვაკეთებ. თუ იქნება რაიმე სახით ხელშე-

წყობა, ეს სტიმულს მომცემს. ინფორმაციაც არ მაქვს, ვის შეიძ-ლება ამ საკითხითვის მივმართო. გამოცდილებაც არ მაქვს, რომ რამე პროექტი დავწერო“ (ქალი, უმუშევარი, ადგილობრივი, 30 წლის).

„ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ტურიზმის აქტუალიზაციით. არის ხობის მუნიციპალიტეტში ისე-თი ადგილები, რომლების რეკლამირებითაც შესაძლებელი იქნება უცხოელი ტურისტების მოზიდვა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისთვის შეიძლება ამ ადგილების შესახებ საინფორმაციო დაფების დადგმა, ინფორმაციის განთავ-სება ვებგვერდზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ასეთ ად-გილებში“ (კაცი, საჯარო მოხელე, ადგილობრივი, 42 წლის).

„ჩვენს სოფელში სანერგე მეურნეობის განვითარება არის შე-საძლებელი, ვიცი რამდენიმე ოჯახი, სადაც ამ კულტურას ფლო-ბენ. კარგი იქნება მათი მხარდაჭერა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, არამედ იმი-ტომ რომ ახალგაზრდების დაინტერესებაც მოვახერხოთ და მათ გადინებას შევუშალოთ ხელი“ (ქალი, პედაგოგი, ადგილობრივი, 45 წლის).

ეკონომიკური გაძლიერების არსებულ პროგრამებზე მოწყვლა-დი ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე სა-უბრობენ კვლევაში ჩართული ექსპერტებიც. მათი მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა იქნება გრძელვადიან შედეგზე გასვლა. გვეყო-ლება მეტი გაძლიერებული მოწყვლადი ოჯახი, რომლებიც არ იქ-ნებიან ორიენტირებულნი ერთჯერადი დახმარების მიღებაზე.

„აუცილებელია ისეთი გაძლიერების პროგრამა, რომლითაც და-მოუკიდებლობას შევაჩვევთ ისეთ მოწყვლად კატეგორიას, როგო-რებიცაა: მარტოხელა დედა, მრავალშვილიანი დედა, ძალადობის მსხვერპლი. მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობა, ეს შეიძ-ლება მცირე ბიზნესის წახალისებით მოხდეს, ან თუნდაც დახმა-

რება იმისთვის, რომ ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მოიპოვონ გრანტები“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულო).

„მნიშვნელოვანი არის სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც, რა თქმა უნდა, არიან შრომისუნარიანები, ისეთი პირობების შექმნა, რაც მათი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ეს არ უნდა იყოს თანხის მიცემა. უნდა მოხდეს მათთვის კონკრეტული ტექნიკის თუ რამე სხვა საჭირო ინვენტარის შეძენა მცირე ბიზნესის წახალისების კუთხით. ბენეფიციარებს უნდა ვასწავლოთ, როგორ გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა და არ იყვნენ მოწყვლადები და არამც და არამც არ უნდა გავაზარმაცოთ ისინი. მეტად გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პროგრამები იქნება შედეგის მომცემი“ (ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, მერია).

„ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია თემებში. მაგალითად, როდესაც ცხადდება პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მრავალშვილიანი დედების, დევნილების ან კონკრეტულად რომელიმე მოწყვლადი კატეგორიისთვის გრანტის გაცემას, ამაზე ინფორმაცია არ არის და თუ არის, არ აქვთ უნარი, რომ დაწერონ პროექტი. ჩვენთან არსებობს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახური, შესაძლებელია მათთან ერთად გასვლითი შეხვედრების ჩატარება. შევთავაზოთ პროექტების წერაზე კონსულტაციები. ეს უკვე იქნება ერთობლივი რესურსით დახმარება ბენეფიციარებისთვის“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მერია).

როგორც გამოკითხვიდან ჩანს, ***ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ*** გამოკითხულთა 52,70% ინფორმაციას იღებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდის მეშვეობით. კვლე-

ვის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღების წყარო მუნიციპალიტეტის ვებგვერდი და ფეისბუქი არის მათთვის, ვინც დასაქმებულია საჯარო სამსახურში და ასევე კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში. გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა ინფორმირების კუთხით. მოწყვლადი კატეგორიისთვის (სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა დედები) განსაკუთრებულად დასახელდა მერის წარმომადგენლის, როგორც ინფორმაციის გამტარის, როლი, რაზეც მიუთითებს გამოკითხულთა არცთუ დაბალი მაჩვენებელი. 29,30%-მა განაცხადა, რომ ინფორმაციას იღებს მერის წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო 12,7% ინფორმაციის წყაროდ ადგილობრივ დეპუტატებს ასახელებს.

რაც შეეხება საინფორმაციო ფურცლებსა და დაფებს თემში, ეს საშუალება ინფორმირებისთვის მხოლოდ 6,70%-სთვის არის ხელმისაწვდომი.

პირველწყაროდ დასახელდა ონლაინ მედიასაშუალებები, სოციალური ქსელები, რასაც იყენებს გამოკითხულთა 41,30% - ასაკობრივი მაჩვენებლის მიხედვით, ეს საშუალება უფრო მისაღებია 18-დან 45 წლამდე გამოკითხულთათვის.

ცენტრალური ხელისუფლების, სამინისტროს ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდს ინფორმაციის მისაღებად ეცნობა გამოკითხულთთა 29,30%. ეს მაჩვენებელი, ძირითადად, მოიცავს სახელმწიფოს მიერ დასაქმებულებს, რადგან ინფორმაცია შესაბამისი გვერდების შესახებ უფრო ხელმისაწვდომია მათთვის, ვიდრე მოწყვლადი სოციალური ფენის წარმომადგენლებისთვის. ინფორმაციის წყაროდ ტელევიზიას და რადიოს ასახელებს გამოკითხულთა 24%, რომლებიც მიეკუთვნებიან 46-დან 65 წლამდე და ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას. არასამთავრობო სექტორის რესურსი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული აქვს გამოკითხულთა მხოლოდ 4%-ს.

დიაგრამა №6.



თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის ინფორმირების პრაქტიკა ონლაინ გზით და მოსახლეობისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მიღება დღესდღეობით შესაძლებელია სახელმწიფო უწყებების სოციალური ქსელების და ვებგვერდების საშუალებით. თუმცა, ამავე დროს ხაზი გაესვა, რომ ინფორმაციის ასეთ ფორმაზე წვდომა შეზღუდული აქვთ მოსახლეობის ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიცაა: სოციალურად დაუცველები, ხანდაზმულები და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა. ამის მიზეზად კი სახელდება ინტერნეტის სუსტი სიხშირე, სათანადო ტექნოლოგიების არქონა და გამოყენების არცოდნაც. შესაბამისად, საჭირო ინფორმაციის მისაღებად სასურველია საინფორმაციო სახის ბეჭდური მასალების გამოყენება. მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების წყაროდ ასევე დასახელდნენ მერის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად ავრცელებენ თემში საჭირო ინფორმაციას. ამას

ადასტურებს რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც. მოსახლეობის ნაწილის ინდიფერენტულობა და სახელმწიფო პროგრამების მიმართ ნაკლები ინტერესი შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, მოსახლეობის უნდობლობით და ერთგვარი ნიჰილიზმით, რომ მათ შეუძლიათ კონკურენტუნარიანები იყვნენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

„დღესდღეობით ინტერნეტ სივრცით ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება შეგიძლია ადამიანს, თუ ეს შენთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა, თუმცა ამას სჭირდება შესაბამისი ცოდნა და ტექნიკა“ (ქალი, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ადგილობრივი, 54 წლის).

„ისეთ ჯგუფებს, ვისაც ესაჭიროება ეკონომიკური გაძლიერება და მხარდაჭერა, შეიძლება არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთანაც კი. მათ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება სჭირდებათ იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია მიზნობრივად გამოიყენონ“ (ქალი, დიასახლისი, 37 წლის).

„მე ვიცი ქალი, რომელსაც აქვს თავისი მცირე ბიზნესი. გაფართოების მიზნით დაწერა პროექტი და კონკურსში იღებდა მონაწილეობას, თუმცა მერე, რომ გაიგო, ბევრად არამყარი ბიზნესის მქონე პიროვნებას მისცეს გრანტი, ჩაიქნია ხელი და ზუსტად ვიცი, რომ არც ეცდება კიდევ პროექტის დაწერას“ (ქალი, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, 41 წლის).

ბლოკი 3. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

კვლევამ დაგვანახა, თუ რა მდგომარეობა არის ხობის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით, რაც შეფასდა მუნიციპალიტეტში სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობის და საბაზისო სერვისებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზომვის გზით.

რაოდენობრივი კვლევით ნათლად გამოიკვეთა, თუ რომელი საკითხია გამოკითხულთათვის და მათ ***თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური.*** ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება, რაზეც მიუთითებს გამოკითხულთა 46%. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება გზების მოუწესრიგებლობა. გამოკითხულთა 40% მიუთითებს სოფლის შიდა გზების მოწესრიგების აუცილებლობაზე, ხოლო 25,30% აღნიშნავს, რომ ასევე მნიშვნელოვანია სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება.

გამოკითხულთა 22%-მა ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან დაასახელა სანიაღვრე არხების გამართვა. მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემა პრობლემას წარმოადგენს 18%-სთვის. სოფლად მცხოვრები გამოკითხული 35,3% ქალის აზრით, ადგილობრივი თემისთვის აქტუალურია წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს სოფელში, რაც მოიაზრებს ისეთი ობიექტების არსებობას, როგორებიცაა სილამაზის სალონი, სამკერვალო და ა. შ., მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 12%-სთვის. გარე განათებების გაუმართაობა პრობლემად დაასახელა ქალების მხოლოდ 9,30%-მა.

ქალაქში მცხოვრებ ქალთა 8% მიუთითებს, რომ აუცილებელია ფეხით მოსიარულეთათვის ბარდიურების, ტროტუარების მოწესრიგება.

გენდერულ ჭრილში განხილულ იქნა ასევე სკოლებთან და ბაღებთან დაკავშირებული საჭიროებები. აღმოჩნდა, რომ სკოლების არადამაკმაყოფილებელ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს 21,3%, ხოლო საბავშვო ბაღებში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები აწუხებს 20%-ს. არანაკლებ აქტუალური აღმოჩნდა სკოლისგარეშე წრეების დანერგვა ბავშვებისთვის, რაზეც გამოკითხული

ქალების 25,3% მიუთითებს. ასევე დასახელდა ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისების არსებობა დასაქმებული დედებისთვის (35,3%).

ცხრილი №3.

რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური	
სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება	25,3%
სანიაღვრე არხების გაკეთება	22%
საკანალიზაციო სისტემის გამართვა	18%
სოფლის შიდა გზების მოწესრიგება	40%
წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება	35,3%
ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება	46%
საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი, სამკერვალო და ა.შ)	12%
გარე განათების გამართვა	9,3%
ფეხით მოსიარულეთათვის ბარდიურების, ტროტუარების მოწესრიგება	8%
საბავშვო ბაღებში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები	20%
სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები	21,3%
სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის	25,3%
ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები (სკოლის და ბაღის შემდგომი) დასაქმებული დედებისთვის	35,3%

მონაწილეთა მხრიდან თვისებრივი კვლევის დროს მიღებული მონაცემები რაოდენობრივს ემთხვევა. როგორც ირკვევა, გზების, ტრანსპორტის და სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა, სანიაღვრე სისტემის არარსებობა უსაფრთხოების კომპონენტში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით - ქალებს.

რესპონდენტების თქმით, სასმელი წყლის პრობლემა, ძირითადად, ზაფხულში იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით მძიმედ აწვება ქალებს. გარდა იმისა, რომ წყლის არარსებობის შემთხვევაში ქალებს შორიდან უწევთ მისი ზიდვა, ეს მნიშვნელოვნად ართულებს ქალების ოჯახურ საქმიანობას, რაც საკმაოდ ნეგატიურად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

„წყალი პრობლემა არის განსაკუთრებით, თუ გვალვებიანი ზაფხულია. არადა ზაფხულში ივსება სოფლები, ჩამოდიან ახალგაზრდები, ბავშვები, ისინი, ვინც შიდა მიგრაციით დიდ ქალაქებში არიან გადასულები და რამხელა დისკომფორტი იქმნება იმით, რომ წყალი, რომელიც ასე მნიშვნელოვანია, ელემენტარულად ჰიგიენისთვის არ გვაქვს. ეს კიდევ უფრო უმძიმებს ქალებს ყოველდღიურ ყოფას“ (ადგილობრივი, დიასახლისი, 48 წლის).

ტრანსპორტის გაუმართაობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია სოფლებში მცხოვრები ქალებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც პრაქტიკულად ყველა აუცილებელი სერვისით დაკავშირებულნი არიან ქალაქთან. ეს პრობლემა იკვეთება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურების დროსაც:

„ახალგაზრდების სოციალურ აქტივობებში ჩართულობაში გამოვყოფდი ტრანსპორტირების პრობლემას. ვერ ვახერხებთ მათ უზრუნველყოფას ტრანსპორტით და ახალგაზრდების მოზიდვა გვიჭირს სოფლებიდან, რომ მათი იდეები არ დაიკარგოს, მათი სურვილები არ დაიკარგოს“ (ახალგაზრდული განყოფილების სპეციალისტი, მერია).

ტრანსპორტის პრობლემა მწვავედ დგას იმ ქალებისთვისაც, ვინც საჯარო სამსახურშია დასაქმებული და სოფლებიდან და-

დის. სამსახურის მერე საოჯახო საჭიროებების მოგვარებასაც ვერ ახერხებენ, რადგან ტრანსპორტზე დაგვიანების შემთხვევაში მოუწევთ „ავტოსტოპით“ სარგებლობა, რაც არ არის უსაფრთხო. განსაკუთრებით კი იმ მოზარდებისთვის, რომლებსაც მშობლების გარეშე უწევთ გადაადგილება.

„დიდი პრობლემაა ტრანსპორტი მათთვისაც, ვინც დასაქმებულია ქალაქში, დადის სოფლიდან და არ ჰყავს საკუთარი ავტომობილი. არ გვაქვს ჩვენ მუნიციპალური ტრანსპორტის ფუფუნება. ამიტომ თუ რამე გამოჩნდა სამსახური ან მარკეტში, ან აფთიაქის რომელიმე ქსელში, ან თუნდაც რამე საცხობში, ძნელია თავი გაართვან“ (ადგილობრივი, ბაღის აღმზრდელი, 56 წლის).

„ძნელია, რომ, მაგალითად, საჯარო მოხელემ სამსახურში არ დააგვიანოს - ცხრაზე უნდა იყოს სამსახურში და ტრანსპორტი, რომელიც უკან ბრუნდება საღამოს 6-ზე, მას უნდა მიუსწროს. ვერანაირ საჭიროებას ვერ აგვარებ, ისე ბრუნდები სახლში. თუ ტრანსპორტს ვერ მიუსწარი, მერე უკვე გიწევს ვინმე გამვლელს წაყვე. ეს კი ძალიან დიდი რისკია, არ არის უსაფრთხო. როდესაც ასე დადიან ბავშვები, არანაირად არ ვართ დაზღვეული სექსუალური შევიწროებისგან. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს შეუძლია ადვოკატირების გაწევა, მეტს მისი რესურსით ვერ გააკეთებს“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მერია).

თვისებრივი კვლევის დროს ასევე მნიშვნელოვნად დაფიქსირდა ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისების არსებობა დასაქმებული დედებისთვის, რადგან რთულია სრული სამუშაო გრაფიკის შეთავსება ისე, რომ ბაღიდან არ დაგაგვიანდეს ბავშვის გამოყვანა, ან უყურადღებოდ არ დაგრჩეს შვილი სკოლის მერე.

პარადოქსია ისიც, რომ ქალები საშვებულებო დღეებს ინახავენ აგვისტოსთვის, არა იმიტომ რომ სადმე გადიან და ამის ფუფუნება აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ბავშვები ჰყავთ უმეთვალყურეოდ სკოლის და ბაღის არდადეგების დროს.

თვისებრივ კვლევაში ჩართულები გამოყოფენ ბაღების სათამა-

შოებით აღჭურვის საკითხს. ეს განსაკუთრებით ეხება განმავითარებელ სათამაშოებს, რაც აუცილებელია მოზარდის ასაკობრივი განვითარებისთვის. აღინიშნა, რომ მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ვერ იძლევა ჯანსაღი თაობის აღზრდის საშუალებას.

ბლოკი 4. ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ჯანმრთელობის უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის საფრთხეებისგან თავისუფალი პირობების შექმნა და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. წინამდებარე კვლევაში ჯანმრთელობის უსაფრთხოება შეფასდა სამედიცინო მომსახურებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ხარისხის საფუძველზე.[4]

ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემებიდან ხობის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სოფლად მცხოვრები ქალების აბსოლუტური უმრავლესობა ასახელებს უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობას - ამის შესახებ მიუთითებს 41,30%. არანაკლებ პრიორიტეტულად დასახელდა უფასო სამედიცინო სკრინინგ პროგრამების დანერგვა გოგონებისა და ქალებისათვის (38,70%). პრობლემა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეიძლება შეაფერხოს დაავადებებთან ბრძოლისუნარიანობა და საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, არის მედიკამენტების მაღალი ფასები - რაზეც გამოკითხულთა 46% მიუთითებს. რესპონდენტთა 37,30% ჯანმრთელობის საფრთხედ განიხილავს ასევე უხარისხო სამედიცინო მომსახურებას. გამოკითხული სოფლად

4 დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში. გვ.11, 2021 წ. https://fsokhumi.ge/images/2021/10/1/USAID-ge.pdf

მცხოვრები ქალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა (28%) და სამედიცინო პერსონალის სიმცირე (16,70%). გამოკითხული დევნილი თემის წარმომადგენელი ქალებისთვის კი პრიორიტეტულია იგპ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მეტი მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამის არსებობა - 11,30%. რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით პრობლემას წარმოადგენს გამოკითხული ქალების 26,70%-სთვის, ხოლო არაინფორმირებულობა ჯანდაცვის პროგრამებზე - 28%-სთვის.

ფოკუს-ჯგუფებშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სოფლებში არსებული ამბულატორიების არასათანადო მდგომარეობაზე. ხაზი გაესვა ამბულატორიების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, არასათანადო ტექნიკურ აღჭურვილობას, მედიკამენტების და მედპერსონალის სიმწირეს. რესპონდენტთა მტკიცებით, მაშინ, როცა სოფელში ხანდაზმულთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს, რომელთათვის ადგილზე სამედიცინო მომსახურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დღემდე ვერ ხერხდება სოფლების უზრუნველყოფა ამბულატორიებით, მათი სათანადო ინვენტარით აღჭურვა, შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტება და ამოქმედება. გამოწვევას წარმოადგენს სოფლებში აფთიაქების არარსებობა და მედიკამენტებზე შეზღუდული წვდომა.

„სოფლის ამბულატორიის შენობა ისეთ მდგომარეობაშია, რაც არ უნდა კომპეტენტური პერსონალი იყოს, ნდობის ფაქტორი მაინც არ გაგიჩნდება იქ შესვლისა და შესაბამისი მომსახურების მიღებისთვის“ (ადგილობრივი, დიასახლისი, 43 წლის).

„როდესაც კოვიდ-19-ის დროს სოფლებში ვაქცინაციის საკითხი დადგა, სპეციალურად ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი ჯგუფის მიღება დავაორგანიზეთ ჩვენი სოფლის ამბულატორიაში, რომელსაც ფანჯრებიც კი არ აქვს. რეალურად მათთვის, ვინც ჩამოვიდა, ეს იყო შოკი, მაგრამ რა... არც არაფერი შეცვლილა“ (კაცი, საჯარო მოხელე, ადგილობრივი, 42 წლის).

ასევე გამოიკვეთა, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებში არის ეს პრობლემა. დაფიქსირდა, რომ რთულია რამე უფასო კვლევებშიც კი მათი ჩართვა, რადგანაც ამის მნიშვნელობასაც კი ვერ იაზრებენ.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემების ფონზე ჩვენთვის საინტერესო იყო, ***ჯანმრთელობის გაუარესების დროს როგორ ახერხებენ პრობლემის გადაჭრას*** რაოდენობრივი კვლევის მონაწილე ქალები. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობის (56%) მკურნალობას, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. კერძო დაზღვევით სარგებლობს მხოლოდ 21%, თუმცა ამ შემთხვევაში პასუხებში პრაქტიკულად არ ფიქსირდებიან მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, რაც მკაფიოდ მოწმობს ქალთა ამ კატეგორიისთვის დასაქმებისადმი ზოგადად შეზღუდულ წვდომას ან დასაქმების ისეთ სახეობას, რაც არ ითვალისწინებს დაქირავებულ პირთა დამატებითი სოციალური პაკეტებით უზრუნველყოფას. საგანგაშოა იმ პირთა მაჩვენებელი, რომლებიც თვითმკურნალობას ეწევიან - 17%. ჩაღრმავებული ანალიზის თანახმად, მათ შორის, ვინც თვითმკურნალობას მიმართავს, უმრავლესობა 45 წლის ზემოთ ასაკის ქალია (34%). გამოკითხულთა 3% უპირატესობას ანიჭებს მკურნალობის არატრადიციულ გზებს და მიმართავს ექიმბაშებს, რაც, შესაძლოა, განპირობებულია მკურნალობის აღნიშნული მეთოდის შედარებით დაბალი ფასით ან მოსახლეობის მხრიდან სანდოობის მაღალი ხარისხით. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების საზღვარგარეთ მიღებას, ეს ხელმისაწვდომი აღმოჩნდა მხოლოდ გამოკითხულთა 3%-სთვის. მათ შორის არ არიან მოწყვლადი კატეგორიის წარმომადგენლები: მარტოხელა დედები, იგპ თემის ქალები, მრავალშვილიანი დედები და სოციალურად დაუცველები.

ბევრი იყენებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებს, მაგრამ იმდენად მძიმეა სოციალური ფონი, რომ მოსახლეობას იმ მინიმა-

ლურის გადახდის საშუალებაც არ აქვთ, რასაც თანადაფინანსება მოიცავს და ძალიან ხშირად მიმართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას.

„ყურადღება მისაქცევია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები - მარტოხელა მოხუცები და მარტოხელა დედები. დახმარება, რასაც ისინი იღებენ, მიზერულია და არ შეესაბამება მათ საჭიროებებს“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 36 წლის).

დიაგრამა №7.

ჯანმრთელობის გაუარესების დროს
როგორ ახერხებთ პრობლემის გადაჭრას?



ბლოკი 5. ფიზიკური უსაფრთხოება

წინამდებარე კვლევაში ფიზიკური უსაფრთხოების ხარისხი შეფასდა სამიზნე რეგიონებში ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის საკითხის აქტუალობის და პრობლემის მასშტაბების, ძალადობის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმების გამოვლენის, ძალადობისგან დაცვის არსებულ სერვისებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის და ამ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის შესწავლის გზით.

ოჯახური ძალადობის პრობლემის აქტუალურობის შესახებ აღნიშნავს რესპონდენტთა 48%, ხოლო ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას ძალიან აქტუალურად მიიჩნევს 18%. გამოკითხულთა 10% პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებს - აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის საკითხი კვლავ ტაბუდადებულ და გაუმხელელ პრობლემად რჩება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ გამოკითხულთა არც თუ მცირე ნაწილისთვის (24%) ძალადობა აქტუალური არ არის. შეკითხვებზე: „არ მაქვს პასუხი“ და „არ არის აქტუალური“ მეტი პროცენტული მაჩვენებელი მოდის 45-65 წლის და 65 წელს გადაცილებულ ქალებზე (34%).

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის აქტუალობას ყველაზე მეტად 18-30 (28%) და 31-45 (30%) წლის რესპონდენტები უსვამდნენ ხაზს, რაც მკაფიოდ მეტყველებს საშუალო ასაკს გადაცილებული და უფროსი თაობის ქალების მყარად ფესვგადგმულ სტერეოტიპულ შეხედულებაზე, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხი ოჯახის პირადი საქმეა და მასზე საუბარი საჯაროდ მიღებული არ არის.

დიაგრამა №8.

რამდენად აქტუალურია ოჯახში ძალადობა თქვენთვის ან თქვენს თემში?



რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეებისთვის ***ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა*** არის ფსიქოლოგიური ძალადობა (61,3%). შემდეგ სახელდება ფიზიკური ძალადობა (23,3%) და ეკონომიკური ძალადობა (14%). რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, მასზე გამოკითხულთა მხოლოდ 1,3%-მა მიუთითა.

დიაგრამა №9.

ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა გავრცელებული?



თვისებრივი კვლევით გამოიკვეთა, რომ ქალთა მხრიდან ოჯახში ძალადობის გამჟღავნებისგან თავის შეკავება ტრადიციული მიდგომების და საზოგადოებრივი შესაძლო წნეხისგან თავის არიდების გარდა, ბევრწილად დაკავშირებულია შიშთან, თუ როგორ შეძლებს ქალი შვილებთან ერთად დამოუკიდებლად ცხოვრებას. ქალები აღნიშნავდნენ, რომ თავშესაფრებში ქალთა განთავსების არასაკმარისი ვადა, სახელმწიფოსგან გაწეული მხარდაჭერის მხოლოდ მოკლევადიანი ან ერთჯერადი ხასიათი არ არის საკმარისი დამოუკიდებელი ცხოვრების წამოსაწყებად, რაც აიძულებს მას, ითმინოს ძალადობა.

„ძალადობის მსხვერპლთათვის ყველაზე მეტ პრობლემას ვხედავ იმას, რომ უნდა იყოს სოციალური სახლები, ეს უნდა იყოს მოცემულობა, ეს არ არის ფუფუნება. ბევრი ითმენს ძალადობას იმიტომ, რომ წასასვლელი არ აქვს. მე მსხვერპლი რომ მეყოლე-

ბა, მერე კი არ უნდა ვიფიქრო, სად წავიყვანო, მე უნდა მქონდეს უკვე ამისთვის განსაზღვრული ალტერნატივა“ (მერიის ბავშვთა განყოფილების უფროსი).

„როდესაც საინფორმაციო შეხვედრებით გავდივარ თემში, ზუსტად ვიცი, რომ ამ შეხვედრებზე მოწყვლადი ქალები არ არიან წარმოდგენილი, რადგანაც მოძალადე არ მისცემს საშუალებას, რომ ისეთ შეხვედრას დაესწროს, სადაც მის უფლებებზე რამე სახის ინფორმაციას მიიღებს. ასეთი კატეგორიის ქალებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა, რაც მათ მისცემს ძალას, რომ არ ითმინონ ძალადობრივი გარემო“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მერია).

„ეს არის პრობლემა, რომელზეც ხმამაღლა ლაპარაკი ჭირს, ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ, რომ მხოლოდ კონკრეტული ოჯახის და კონკრეტული პიროვნების პრობლემა არ არის. ვერც იმას, რომ ამაზე საუბარი არ არის სირცხვილი. ვფიქრობთ ყველაზე, გარდა ჩვენი თავისა... ეს არის მიზეზი, რომ პრობლემა არის დაფარული და ვერ ხდება დროული რეაგირება“ (დევნილი, პედაგოგი, 51 წლის).

„ძალადობის მსხვერპლებისთვის უნდა იყოს ისეთი ხელშეწყობა, რაც მათ საჭიროებას დააკმაყოფილებს. უნდა შესთავაზონ მეტი სერვისი იგივე დასაქმების თვალსაზრისით, მაგალითად, როგორც სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამა შეიქმნა, იყოს მსგავსი. უნდა იყოს საცხოვრისის შეთავაზება, რადგანაც უმეტესად თავს ვერ აღწევენ, იმიტომ რომ წასასვლელი არსად აქვთ და ვერ აღწევენ თავს მოძალადეს“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულო).

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად კითხვაზე ***„გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ“*** მიღებული პასუხებიდან გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს ინფორმაცია (52%). მხოლოდ „ზოგიერთ მათგანზე“ ინფორმაციას ფლობს - 15%. სამწუხაროდ,

ინფორმაციას აღნიშნულ სერვისებზე არ ფლობს გამოკითხულთა 30%. მათ შორის ბოლო ორი მაჩვენებლის მეტი წილი მოდის სოციალურად დაუცველებზე (24%), მრავალშვილიან (18%) და მარტოხელა დედებზე (15%).

საინტერესო მაჩვენებელი დაფიქსირდა იმ კუთხით, თუ რა სერვისებზე აქვთ ინფორმაცია, მათ, ვინც დააფიქსირა, რომ „ფლობს ინფორმაციას“ ან „ზოგიერთ მათგანს“ იცნობს. გამოიკვეთა, რომ რაოდენობრივ კვლევაში ჩართულთა უმეტესობა ფლობს ინფორმაციას ცხელი ხაზის არსებობაზე (36,10%), სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებული კრიზისული ცენტრების შესახებ (17,20%), სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებულ თავშესაფრებზე (14,80%), მუნიციპალურ სერვისებზე (10,7%). შედარებით დაბალია ინფორმირების დონე სახელმწიფო იურიდიული სამსახურების (4,90%), არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი სერვისების (5,70%) და ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების (7,40%) შესახებ. ეს აიხსნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან მოსახლეობასთან არააქტიური მუშაობით.

დიაგრამა №10.

რომელ სერვისებს იცნობთ?



მსხვერპლთათვის და პოტენციურ მსხვერპლთათვის არსებულ სერვისებზე გამოკითხულთა უმრავლესობა ინფორმაციას იღებს სოციალური ქსელის (24,70%), ტელევიზიისა და რადიოს (20,70%) საშუალებით, რაც უმეტესად ინფორმაციის მიღების წყაროდ სახელდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფების მიერ, როგორებიცაა: სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი დედები და მარტოხელა დედები. 16,70% აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რაზეც საჯარო სამსახურში დასაქმებულები მიუთითებენ. სერვისების შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ფლობს 14%, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან - 5,3%. მხოლოდ 2% მიუთითებს, რომ ეს ინფორმაცია მოიპოვა საინფორმაციო ფურცლებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განთავსებული განცხადებების მეშვეობით.

ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებულ წყაროდ გამოკითხულთა 44,3% სოციალურ ქსელებს ასახელებს, მათ შორის უმრავლესობას 18-30 წლამდე (45%) და 31-45 წლამდე (35%) ასაკის ქალები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ადასტურებს ინფორმაციის ღიაობას და ხელმისაწვდომობას სოციალური ქსელების თუ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ვებგვერდებზე, თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ელექტრონული და ციფრული რესურსებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, განსაკუთრებით სოფლებში. ყოველივე ეს მიუთითებს ინფორმაციის ბეჭდური სახით გავრცელების და ასევე ქალებთან უშუალო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობაზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ არსებული სერვისები არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის (58%). სერვისები ხელმისაწვდომად 35,30%-ს მიაჩნია, ხოლო 6,70% მიიჩნევს რომ საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

ნათელი სურათი მივიღეთ იმის შესახებ, ***საკმარისია თუ არა***

ძალადობის მსხვერპლთა არსებული სახელმწიფო სერვისები. მიუხედავად იმისა, რომ ხობის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირების და პრევენციის მიზნით მუნიციპალური სერვისების და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის მიმართულებით გადადგმულია პროგრესული ნაბიჯი, ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით, აშკარაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას არსებული მომსახურების შესახებ, ან თვლის, რომ აღნიშნული პროგრამა არ არის საკმარისი მსხვერპლთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გამოკითხულთა მესამედმა (30%) არ იცის ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამების შესახებ, ნაწილს აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია (22,70%). მონაწილეებს აუცილებლად მიაჩნიათ პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება (14,70%). ფაქტობრივად, თანაბარი რაოდენობა დაფიქსირდა ურთიერთსაპირისპირო პასუხებზე: ეს სერვისი არ არის საკმარისი (16,60%) და საკმარისია (16%).

დიაგრამა №11.

საკმარისია თუ არა ძალადობის მსხვერპლთა არსებული სახელმწიფო სერვისები?



ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუები შეეხო ოჯახში ძალადობის თემატიკას და ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს. ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების შეფასებისას ითქვა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზი კი, ერთი მხრივ, საზოგადოებაში დამკვიდრებული მენტალიტეტია. ასევე, დააფიქსირეს მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი მხარდაჭერა და იმედისმომცემი თანადგომა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ურთიერთდახმარების დამკვიდრებისთვის. აღინიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის უამრავი შემთხვევა რჩება რეაგირების გარეშე, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადოება შეჩვეულია ძალადობის ფაქტების იგნორირებას. გამოიკვეთა მსხვერპლთა არსებული მხარდაჭერის პროგრამების გამრავალფეროვნების და მსხვერპლის გრძელვადიანი დახმარების სერვისების დანერგვის საჭიროება. რესპონდენტთა აზრით, ერთჯერადი დახმარებები არ აძლევს გრძელვადიან პერსპექტივაში მსხვერპლს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობას. რესპონდენტთა ნაწილის თქმით, თავშესაფარში ყოფნის დროს საჭირო დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მსხვერპლის სათანადო მომზადება, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია პარალელურად მსხვერპლთა დასაქმების ხელშეწყობაც - პოტენციურ დამსაქმებელთან დაკავშირების ან საკუთარი სამეწარმეო საქმის წამოსაწყებად გრანტებით უზრუნველყოფის გზით.

„ზოგადად, ძალადობა დახურული თემაა სოფელში, არ არის მიმართვიანობა გარკვეული მიზეზების გამო, ნაკლებად ვართ ინფორმირებული ძალადობის რეაგირებისთვის დანერგილ პროგრამებზე“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 50 წლის).

„შევეხები ძალადობის მსხვერპლთა პროგრამას. ის, რაც არის ერთჯერადი დახმარება ჩვენს ბიუჯეტში 300 ლარის ოდენობით, დიდ სურათს ვერ ქმნის იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ქალი და გარისკოს წამოსვლა მოძალადისგან. აუცილებელია, ეკონომიკური გაძლიერებისთვის არსებობდეს რაიმე პროგრამები“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მერია).

ბლოკი 6. ეკოლოგიური უსაფრთხოება

წინამდებარე კვლევის დროს შესწავლილ იქნა რესპონდენტების დამოკიდებულება მათ საცხოვრებელ გარემოში არსებული ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის მიმართ და ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის მათ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას გამოკითხულთა 49,30% აფასებს, როგორც ნორმალურს. აღსანიშნავია, რომ ქალთა ნაწილი არსებულ სიტუაციას ცუდს (25,30%) ან ძალიან ცუდს (11,30%) უწოდებს. მხოლოდ 9,30% თვლის, რომ მდგომარეობა კარგია, ხოლო 4,70% - ძალიან კარგი.

ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მწვავედ გამოკითხულ ქალთა ნაწილისთვის (35,30%) სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა სახელდება.

გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა მწვავე პრობლემას წარმოადგენს გამოკითხულთა 24%-სთვის. იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა სანიღვრე მილების არარსებობისა და გაუმართაობის კუთხითაც (24%). დაბინძურებული ჰაერი ეკოლოგიურ პრობლემად მხოლოდ 16,70%-მა დაასახელა.

დიაგრამა №12.

რომელია ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს თემში?



ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით თვისებრივი კვლევის დროს დაფიქსირდა ნაგვის ურნების არარსებობით გამოწვეული პრობლემები.

„ნაგავი იყრება ქუჩაში, მდინარის სანაპიროზე, რაც აბინძურებს მდინარეს და, ზოგადად, გარემოს. სოფლებში დაიდგა ურნები, მაგრამ ქალაქთან ახლო სოფლებში. ამბობენ, რომ ნელ-ნელა ეს პრობლემა მოგვარდება, მაგრამ რეალურად სადაც დადგმულია ურნები, არ არის საკმარისი რაოდენობა. არადა სკოლასთან, ბაღთან, ცენტრში, მაღაზიებთან ნამდვილად საჭიროა ურნები“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 42 წლის).

„მიუხედავად იმისა, რომ დაიდგა ურნები, რა თქმა უნდა, ჯერ არ არის სათანადო რაოდენობა, მაინც ხალხს გამჯდარი აქვს ის, რომ ნაგავი მდინარეში უნდა ჩაყაროს. იმას ვერ იაზრებენ, რამდენად აზიანებს ეს, პირველ რიგში, მათი შვილების ჯანმრთელობას“ (კაცი, საჯარო მოხელე, 42 წლის).

ხაზი გაესვა ნაგვის ურნების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის დამატების და ნაგავსაყრელი ურნების დაცლის ინტენსიურობის ზრდის აუცილებლობას. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი განსაკუთრებით აღნიშნავდა ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის მოუწესრიგებლობის ნეგატიურ გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით - ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

ბლოკი 7. ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი და მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობა

რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხულებს საშუალება მიეცათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება იმის შესახებ, მიუმართავთ ***თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან***

სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურებრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად. პასუხი „დიახ“ გასცა 50%-მა, „არა“ - 40%-მა, ხოლო 10%-ს არ მიუმართავს, რადგან არ სჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

ისინი, ვინც კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსი გამოიყენა, ***ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის სამოქალაქო ჩართულობის შემდეგ ფორმებს იყენებენ:*** დასახლების/სოფლის კრებები - 45,30%; საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 12%; მერის, მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა - 12,70%; პეტიცია - 1,30%, კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა - 24,70%.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობა მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას და ეს მიმართვიანობა მეტწილად არის მერის წარმომადგენლების მხრიდან ინფორმირების შედეგი. მათ მიერ თემებში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე ბენეფიციარები მიმართავენ თვითმმართველობას. იციან კონკრეტულად, ვის უნდა მიმართონ და რა ტიპის განცხადება უნდა დაწერონ. თუმცა მიმართვიანობა არ არის ძალადობის კუთხით, რაც არ ამართლებს ბიუჯეტში ძალადობის მსხვერპლის ერთჯერადი დახმარებისთვის გამიზნული თანხის არსებობას.

კვლევის დროს ასევე შეფასდა, თუ რამდენად მორგებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს.

გამოკითხულთა 42% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს, 14%-ის აზრით, პროგრამები არ ასახავს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. 44% კი აღნიშნავს, რომ არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა.

დიაგრამა №13.

რამდენად მორგებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს?



როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოჩნდა, მონაწილეთა უმეტესობას აქვს ინფორმაცია ადგილობრივ სერვისებზე, თუმცა, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების თქმით, პირადად მათ საკუთარი ინიციატივით არასდროს მოუძიებიათ სათანადო ინფორმაცია თვითმმართველობის პროგრამების გასაცნობად. ამისთვის ისინი იყენებენ მერის წარმომადგენელთა რესურსს.

„პროგრამებზე ინფორმაცია არ მომიძიებია მათ გვერდზე. ასე მგონია, მაინც ვერ გავერკვევი. მირჩევნია, თუ რამე საჭიროება გამომიჩნდა, მივმართო მერის წარმომადგენელს, რომელიც აუცილებლად მომაწოდებს საჭირო ინფორმაციას“ (ადგილობრივი, დიასახლისი, 46 წლის).

„მე, მაგალითად, ჯანდაცვის კუთხით თვითმმართველობის პროგრამის შესახებ სოფლის ამბულატორიის ექიმმა მითხრა, ისინიც კარგად ფლობენ და ავრცელებენ ინფორმაციას, თუ როგორ შეგვიძლია ვისარგებლოთ კონკრეტული პროგრამებით“ (დევნილი, პედაგოგი, 52 წლის).

„არ მაქვს ინფორმაცია, თუ როგორ ხდება საჭიროებების შესწავლა, ან ვინ მუშაობს ასეთ საკითხებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ არის საკმარისი. იქნებ მუნიციპალიტეტს აქვს რაღაც ფორმა ამ მხრივ შემუშავებული, არც კი ვიცი“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 42 წლის).

კვლევაში ჩართული ექსპერტები აფიქსირებენ, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პერიოდულად იკვლევს პროგრამების ეფექტიანობას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს ბიუჯეტის პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებებს. თუმცა მოკვლევა არ მოიცავს შეხვედრებს მოსახლეობასთან, ეს არის პროგრამების გამოყენების დინამიკის შესწავლა. ინფორმაციის გავრცელებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად იყენებს ვებგვერდს, ფეისბუქგვერდს და ადგილობრივ გაზეთს.

„საჭიროება მეტია, ვიდრე მოცემულობა, როდესაც გავაკეთეთ საჭიროების მოკვლევა ჩვენი სამსახურის ფარგლებში, ამ რეალობას შევეჯახეთ. სანამ არ დაიგეგმება რეალურად ის მიდგომა, რომ იქნება მოკვლევა და მერე გაიწერება პროგრამა, რეალურად დიდ შედეგზე ვერ გავალთ. ჩვენ ვებგვერდზე განთავსებული გვაქვს ინფორმაციები, მაგრამ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეიძლება ყველას არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან. ამისთვის არის ადგილობრივი გაზეთი და როდესაც უკვე დამტკიცდება პროგრამები, ჩვენ პერიოდულად ვახდენთ ამ პროგრამებზე ინფორმაციის განთავსებას გაზეთ „ხობის მოამბეში“, რომელიც მიეწოდება სკოლებს, ბაღებს, მერის წარმომადგენლებს უსასყიდლოდ გასავრცელებლად“ (საკრებულოს აპარატის უფროსი).

„სოციალური პროგრამების შედგენის დროს ტარდება მოკვლევა. მოკვლევა ტარდება შიგნით სამსახურში, რომელ პროგრამას ჰქონდა გამოხმაურება, მეტი მოთხოვნა და ასე შემდგომ. მაგრამ მნიშვნელოვანი არის, რომ გაკეთდეს ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა“ (გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მერია).

დასკვნა და რეკომენდაციები

ხობის მუნიციპალიტეტში თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის მოწყვლადობის მაღალი ხარისხი ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიასთან მიმართებაში.

მწვავედ დგას როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პრობლემები, ინფრასტრუქტურული პრობლემები, მათ შორის მოუწესრიგებელი შიდა გზები, შიდა ტრანსპორტის პრობლემა, წყალზე შეუფერხებელი წვდომა და სხვა.

გამოკვეთილია სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამების შედგენის დროს მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების აუცილებლობა ადგილობრივ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროების ასახვას ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე მათი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრას.

კვლევაში გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ რეკომენდებულია გარკვეული მოქმედებების განხორციელება.

რეკომენდაციები

- ეკონომიკური პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირების და პროექტების ჩართვაში მათი დაინტერესების მიზნით, მუნიციპალიტეტში შესაბამისი საკონსულტაციო სერვისების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, კონკურსის პირობების დეტალურ ახსნას და განაცხადის შევსებაში პრაქტიკული დახმარების გაწევას;
- მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით მეწარმეობის და ბიზნეს პროექტების მართვის უნარ-ჩვევების განსავითარებელი ტრენინგების და ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამების შეთავაზება;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ტურიზმის აქტუალიზაციით. ხობის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ზონების რეკლამირება, საინფორმაციო დაფების დადგმა, ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ტურისტულ ზონებში;
- ადგილობრივი პროგრამების შემუშავებისას და მომსახურების დაგეგმვისას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტული საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება. ამისთვის მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრის სისტემის დანერგვა;
- ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე მოწყვლად ჯგუფებთან კონსულტაციებსა და თანამშრომლობაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის იმ თემების მხარდაჭერა, ვისთვისაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი წყალმომარაგება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (საკანალიზაციო სისტემების და სანიაღვრე მილების გამართვა, ნაგვის ურნების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის და ნაგვის გატანის ინტენსივობის გაზრდა);
- მოსახლეობის რეგულარული ინფორმირება ეკოლოგიური მდგომარეობის და გარემო ფაქტორების გავლენის შესახებ ადამიანის - განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების - ჯანმრთელობაზე;
- სოფლებში არსებული ამბულატორიების ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასება და მათი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის ადვოკატირების წარმოება;

- რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება და ოჯახის დაგეგმვის სერვისების და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ქალების და მათი ოჯახის წევრების ინფორმაციული და თავად სერვისებზე დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ექიმების, განსაკუთრებით სოფლის ამბულატორიებში მოქმედი პერსონალის გადამზადებას და მათ ჩართვას რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში;
- სამედიცინო სკრინინგ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით აღნიშნული პროგრამების ადგილზე, სოფლებში ჩატარების პრაქტიკის დანერგვა;
- საზოგადოების ინფორმირება ცენტრალური და ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამებზე, შესაბამისი ინფორმაციული ფლაერების, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებით;
- სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შეკრებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან/და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების სათამაშოებით აღჭურვა, განსაკუთრებით განმავითარებელი სათამაშოებით, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია მოზარდის ასაკობრივი განვითარებისთვის;
- ადგილობრივი მოსახლეობის სენსიტიურობის ზრდის ხელშეწყობა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე;
- ძალადობის კუთხით არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება მუნიციპალიტეტის ჩართულობით;
- მუნიციპალიტეტში გრძელვადიანი სერვისის არსებობისათვის მნიშვნელოვანია ქალთა/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (მოწყვლადი ჯგუფების) ეკონომიკური გაძლიერების მიზნით პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის არსებობა;

- ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამის შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება მუნიციპალიტეტის ვებგვერდის, სოციალური ქსელების და ადგილობრივი გაზეთის გამოყენებით;
- სასურველია, დაინერგოს ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციართა გაძლიერების გრძელვადიანი პროგრამები, რომლებიც მათი (და მათი ოჯახების) ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება ფოკუსირებული - დასაქმების პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;
- ქალთა დასაქმების სტიმულირებისთვის ბავშვთა მოვლის შესაბამისი სერვისების შექმნა (ბავშვის მოვლის დღის და საღამოს ცენტრების განვითარება, ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული და საზაფხულო ჯგუფების გახსნა, საკითხის ადვოკატირება).

ბიბლიოგრაფია

1. დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში - https://fsokhumi.ge/images/2021/10/1/USAID-ge.pdf

ქალთა ფონდი „სოხუმი“

კვლევის ანალიზი მოამზადა გურანდა გვანცელაძემ

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge
www.sosfsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/